

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

29. 09. 2016 წელი

1 ეგზ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის პროგრამა „კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება“

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N50/36

2015 წლის 1 იანვარი - 2015 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ზ ე ვ ი

1.შემოკლებანი:.....	3
2.შემაჯამებელი მიმოხილვა	3
3. შესავალი.....	5
3.1 აუდიტის შესწავლის საგნის აღწერა	5
3.2 აუდიტის მასშტაბი	5
4. ძირითადი ტექსტი	6
4.1 სასმელი წყლის აბონენტების ინდივიდუალური გამრიცხველიანება.....	6
4.2 ჟილინის არხის კაპიტალური რეკონსტრუქციის სამუშაოები.....	9
4.3. სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია	11
4.4. გამარტივებული შესყიდვა.....	13
4.5. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ხელშეწყობის პროგრამით გაწეული ხარჯები.....	15
5.შემაჯამებელი დასკვნა	18
6. რეკომენდაცია	19
7. აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	20

1.შემოკლებანი:

- ✓ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია -მერია.
- ✓ ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსი“ - ბათუმის კორპუსი.

2.შემაჯამებელი მიმოხილვა

✓ თვითმმართველი ქალაქის-ბათუმის მერიის მიერ, სასმელი წყლის აბონენტების ინდივიდუალური გამრიცხველიანების, წყალმზომების დაყენების სამუშაოების შესყიდვის სატენდერო წინადადებაში გათვალისწინებული პირობები და შესყიდვაში მონაწილე პირებთან არაერთგვაროვანი მიდგომა, პრეტენდენტთა შესაძლო შეზღუდვაზე და კონკრეტული პრეტენდენტის გამარჯვების შესაძლო უპირატესობაზე მიუთითებს. უმცირესი ფასის მქონე დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის და შემდგომში გამარჯვებულად აღიარებულის წარმოდგენილ ფასებს შორის სხვაობა შეადგენს 694 493 ლარს. პრეტენდენტების შერჩევისა და შეფასების პროცედურებთან დაკავშირებით, უნდა გაძლიერდეს შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც აღმოფხვრის პრეტენდენტებთან არაერთგვაროვანი მიდგომის და შესაძლო ხელოვნური შეზღუდვის რისკებს. გვ. 6

✓ ჟილინის არხის კაპიტალური რეკონსტრუქციის სამუშაოებთან დაკავშირებით, მიმწოდებლის მიერ დარღვეულია ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მოთხოვნები და ექსპერტიზის დასკვნები სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი, შესრულებული სამუშაოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობაზე. აღნიშნულ პირობებში შემსყიდველის მიერ გადახდილია მიმწოდებელზე 4 975 651 ლარი. რეკონსტრუქციის სამუშაოებთან დაკავშირებით წარმოდგენილ ფარულ სამუშაოთა აქტებში არ არის დაფიქსირებული მოცულობები. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ვერ მივიღეთ სათანადო რწმუნება ფარული სამუშაოების ფაქტობრივად შესრულებაზე და საბიუჯეტო სახსრების მიზანშედეგოვნობრივად ხარჯვის მდგომარეობაზე“. ფარული სამუშაოების იდენტიფიცირებისათვის უნდა დაინერგოს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები, ხოლო მიმწოდებლებთან ანგარიშსწორება უნდა ხდებოდეს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. გვ. 9

✓ თვითმმართველი ქალაქის-ბათუმის მერიის მიერ, სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას, სატენდერო კომისიის მიერ, საკითხისადმი არაერთგვაროვანი მიდგომის შედეგად, გამარჯვებულად აღიარებულ პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულება 343 427 ლარით მეტია უმცირესი ფასის მქონე დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ღირებულებაზე. პრეტენდენტების შერჩევისა და შეფასების პროცედურებთან დაკავშირებით, უნდა გაძლიერდეს შიდა კონტროლის

მექანიზმები, რაც აღმოფხვრის პრეტენდენტებთან არაერთგვაროვანი მიდგომის, შესაძლო ხელოვნური შეზღუდვისა და საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური ხარჯვის რისკებს. გვ. 11

✓ ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსის“ მიერ, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვების განხორციელებისას, შესრულებაში ნაჩვენები სამუშაოების ღირებულება 1 002 532 ლარი, მიმწოდებელზე გადახდილია ფაქტობრივი ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე, რაც შეუსაბამოა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის, „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას, ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ მე-3 პუნქტის მოთხოვნებთან. ანალოგიური დარღვევების შემდგომში დაუშვებლობის მიზნით, უნდა დაინერგოს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო სახსრების კანონშესაბამისად განკარგვას. გვ. 13

✓ ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსის“ მიერ, 96 688 ლარის ღირებულების სამშენებლო მასალების ხარჯვასთან დაკავშირებით, დეფექტურ აქტებში არ არის იდენტიფიცირებული შესასრულებელი სარემონტო სამუშაოების მოცულობა, ხოლო მასალების ფაქტობრივად ხარჯვის/ჩამოწერის შესაბამისობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N1-1/251 ბრძანებით განსაზღვრულ სამშენებლო სფეროში მოქმედ ნორმებთან, იდენტიფიცირებული არ არის. ანალოგიური დარღვევების შემდგომში დაუშვებლობის მიზნით, უნდა გაძლიერდეს შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც შეამცირებს მოქმედი ნორმებისა და წესების დარღვევით სამშენებლო მასალების ხარჯვის რისკს. გვ. 16

✓ შპს „კომპანიონის“ მიერ, ქ. ბათუმში, ყადირ შერვაშიძის აღმართის N114-ში მცხოვრები მ. ფარტენაძის საცხოვრებელი სახლისა და მიმდებარე საყრდენი კედლის გამაგრებითი სამუშაოების არასრულყოფილად შესრულების და სამუშაოს შესრულების ვადის უსაფუძვლოდ გაგრძელების პირობებში, ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსის“ მიერ არ არის გამოყენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილება, პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ. გვ. 17

✓ ქ.ბათუმში, ზ.გორგილამის ქ.N54/62-ში (IIსადარბაზო) მდებარე საცხოვრებელი სახლის ლიფტის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების სრულყოფილად შეუსრულებლობის პირობებში, მიმწოდებელზე გადახდილია სახელშეკრულებო ღირებულება 6690 ლარი. უნდა დაინერგოს შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც გონივრულ ვადაში გამოავლენს და აღმოფხვრის მიზნობრივი პროგრამის შესრულების რისკებს. გვ. 18

3. შესავალი

3.1 აუდიტის შესწავლის საგნის აღწერა

ქალაქის კომუნალური მეურნეობა წარმოადგენს სისტემას, რომელიც ქმნის მოსახლეობისათვის აუცილებელ საცხოვრებელ პირობებს, უზრუნველყოფს საქმიანობის განხორციელებას, ასევე მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მომუშავე საწარმოებისა და ორგანიზაციების შეუფერხებელ მუშაობას. გამართული პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სანიაღვრე ჭის გაწმენდა და მიმდინარე შეკეთება, საყოფაცხოვრებო ნარჩენის გატანა, გარე განათების სრულყოფილი ფუნქციონირება, დეკორატიული განათების სამუშაოების განხორციელება, ჟილინისა და ჯავახიშვილის ქუჩის სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია, ჭაბურღილის სისტემის მოწყობა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების გამრიცხველიანება, საკანალიზაციო სისტემების მოწყობა, კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი დღგ-ს თანადაფინანსება (დღგ-ს 50 %, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის წილის თანადაფინანსება), წყლის ქსელის რეაბილიტაცია, შპს "ბათუმის წყალის" კაპიტალის გაზრდა (პიპოქლორიდის დანადგარების შეძენის მიზნით), წინა წლებში შესრულებული სახელშეკრულებო ვალდებულებათა ანაზღაურება, ქ. ბათუმში, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები, ასევე ქალაქში არსებული ავარიული სახლების რეაბილიტაცია და საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა.

3.2 აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბს წარმოადგენს, კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში, მერიის მიერ 2015 წელს განხორციელებული შემდეგი საქმიანობა:

ცხრილი N 3.1.

კოდი	პროგრამების დასახელება	დაზუსტებული ბიუჯეტი	საკასო შესრულება	სხვაობა	შესრულების პროცენტი
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება	42 319.60	39 457.00	2 862.60	93.20%
03 02 01	სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	9 244.70	9 118.90	125.8	98.60%
03 02 02	წყლის სისტემების რეაბილიტაცია	918.6	917.4	1.2	99.90%
03 02 03	კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია	2 648.00	2 567.00	81	96.90%
03 02 04	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება	9 385.90	9 157.60	228.3	97.60%
03 02 05	ქალაქის დასუფთავება	6 777.20	6 640.60	136.6	98.00%
03 02 06	იაფი სახლი - სტანდარტული საცხოვრისი თანაქალაქელებს	1 700.00	0	1 700.00	0.00%
03 02 07	გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	4 153.40	4 024.50	128.9	96.90%
03 02 08	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა	7 491.80	7 031.00	460.8	93.80%

4. ძირითადი ტექსტი

4.1 სასმელი წყლის აბონენტების ინდივიდუალური გამრიცხველიანება

კრიტერიუმი: საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მე-2 მუხლის „ა“ და „გ“ პუნქტების შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების კანონის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვებისთვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფა. თვითმმართველი ქალაქის-ბათუმის მერიის მიერ, 2015 წლის 19 მარტს გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი (SPA 150008925), სასმელი წყლის აბონენტების ინდივიდუალური გამრიცხველიანების, წყალმზომების დაყენების (დამატებითი სამუშაოები) სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით. სატენდერო წინადადებით, პრეტენდენტს უკანასკნელ 3 წელში შესრულებული უნდა ჰქონდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის¹ სამუშაოები არანაკლებ 1 000 000 ლარის ოდენობით, სამუშაოების შესასრულებლად უნდა ჰყავდეს შესაბამისი პროფილის მინიმუმ 20 კვალიფიციური სპეციალისტი, პრეტენდენტმა თითოეულ ბინათმესაკუთრესთან უნდა შეათანხმოს სანტექნიკური მილებისა და ფიტინგების დამონტაჟების პროექტი, აგრეთვე გამარჯვებული პრეტენდენტი სახელშეკრულებო ურთიერთობის რიგ საკითხებში, როგორიცაა სამუშაოს შესრულების წესი, ანგარიშსწორების პირობები, გეგმა-გრაფიკი და სხვა უნდა განახორციელოს კომპანია „ER-YA INSAAT TURIZM VE TICARET A.S.“-სთან ერთობლივად, კერძოდ: ა) პრეტენდენტი ვალდებულია სანტექნიკური მილების, ფიტინგებისა და კარადების მონტაჟი განახორციელოს კომპანია „ER-YA INSAAT TURIZM VE TICARET A.S.“-სთან ერთობლივად, რათა უზრუნველყოფილი იქნეს გამრიცხველიანების პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობა კომპანია „ER-YA INSAAT TURIZM VE TICARET A.S.“-თან ურთიერთშეთანხმებული, ტექნიკური ზედამხედველი კომპანიის „MACS“ მიერ დადასტურებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით განსაზღვრულ ვადაში. ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესრულებული სამუშაოების ნახაზები, რომელიც კონსოლიდირებული უნდა იყოს კომპანია „ER-YA INSAAT TURIZM VE TICARET A.S.“-ს შესრულებული სამუშაოების ნახაზებთან. გ) ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ყოველთვიურად, შესრულებული სამუშაოების მიხედვით (სამუშაოები ითვლება შესრულებულად, თუ პრეტენდენტი კომპანია „ER-YA INSAAT TURIZM VE TICARET A.S.“-თან ერთობლივად დაასრულებს სამუშაოს მთელ შენობაში და არა ერთ აპარტამენტში/ბინაში), მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს

¹ სასმელი წყლის აბონენტების ინდივიდუალური გამრიცხველიანება, წყალმზომების დაყენება.

ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში და სხვა.

4.1.1. გამოვლენილი გარემოება: შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 2 007 766 ლარს. შესყიდვაში მონაწილეობდა ორი პრეტენდენტი². უმცირესი ფასის მქონე (1 313 131 ლარი) პრეტენდენტი³ სატენდერო კომისიის მიერ (ოქმი N57-3, 22/04/2015წ) დისკვალიფიცირებულია⁴ და გამარჯვებულად გამოვლინდა (ოქმი N57-5, 27/04/2015წ) მეორე პრეტენდენტი⁵ რომელთანაც 2015 წლის 4 მაისს გაფორმებულია N98 ხელშეკრულება, 2016 წლის 1 მაისამდე 2 007 624 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე. წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზით ირკვევა, რომ შემსყიდველის მიერ არაერთგვაროვანი მიდგომითაა განხორციელებული პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების განხილვა, კერძოდ:

- უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტს, ანალოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებით, ინფორმაცია წარმოდგენილი აქვს სატენდერო პირობით გათვალისწინებული დანართი N1 შესაბამისად და სასმელი წყლის სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოებიდან,⁶ შემსყიდველის მიერ ჩათვლილია მხოლოდ გამრიცხველიანების სამუშაო⁷, ხოლო გამარჯვებულ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ დანართი N1-ში, ნაცვლად სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული ინფორმაციისა, წარმოდგენილი აქვს მხოლოდ დამონტაჟებული წყალმზომების რაოდენობა. სატენდერო კომისიის ოქმებში არ არის იდენტიფიცირებული რა დასახელების და ღირებულების სამუშაოებია ჩათვლილი ანალოგიურ საქმიანობად, მითუმეტეს, რომ პრეტენდენტს წარმოდგენილი აქვს ყარსის⁸ მუნიციპალიტეტის ინფორმაცია, 2010-2012 წლებში შესრულებული სასმელი წყლის მშენებლობის სამუშაოების შესახებ, სადაც არ არის გამიჯნული თუ რა დასახელების და ღირებულების სამუშაოებია შესრულებული სატენდერო პირობით გათვალისწინებულ 2012 წელს.

- პრეტენდენტის სპეციალისტთა გამოცდილების შესახებ, უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია იმ მოტივით, რომ სპეციალისტების გამოცდილების შესახებ ინფორმაცია ნაწილობრივ არ შეესაბამება სატენდერო

² „ER-YA INSAAT TURIZM VE TICARET A.S” და შპს „B&B”

³ შპს „B&B”

⁴ ა) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოები არ იქნა ჩათვლილი ტენდერით გათვალისწინებული სასმელი წყლის აბონენტების ინდივიდუალური გამრიცხველიანების, წყალმზომების დაყენების ანალოგიური სამუშაოდ. ბ) მინიმალური ბრუნვა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში არ შეადგენს 4 000 000 ლარს. გ) სპეციალისტთა გამოცდილების შესახებ ნაწილობრივ არ შეესაბამება მოთხოვნებს, კერძოდ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების წელი, სპეციალობა დიპლომების მიხედვით.

⁵ ER-YA INSAAT TURIZM VE TICARET A.S”.

⁶ ხელშეკრულება N42 -სოფ. მისაქციელში სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები 167 045 ლარი, N43-სოფ. წილკანში სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები-212 212 ლარი. შპს „ინტერკონტინენტალი“-სოფ. წეროვანში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა-15 000 ლარი.

⁷ არ არის ჩათვლილი მასალების ღირებულება, მიღების მონტაჟი, მიწის სამუშაოები, ა/ბეტონის საფარის აღდგენა და სხვა.

⁸ ცნობა 31/07/2013წ-3 250 000 თურქული ლირა.

დოკუმენტაციის დანართი N2-ის მოთხოვნებს (უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების წელი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით). გამარჯვებულად აღიარებულ პრეტენდენტს გამოცდილების შესახებ ინფორმაციის დანართი N2-ში (უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების წელი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით), საერთოდ არა აქვს მითითებული სპეციალობა დიპლომის მიხედვით, მითითებულია მხოლოდ წელი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დისკვალიფიცირებულ პრეტენდენტს წარმოდგენილი აქვს ცალკეულ დასაქმებულ პირთან ინდივიდუალური ხელშეკრულებები, სადაც ასახულია წყლის გამრიცხველიანებასთან დაკავშირებით დასაქმების პერიოდი (ერთ წელზე მეტი), ხოლო გამარჯვებულად აღიარებულ პრეტენდენტს წარმოდგენილი აქვს ფიზიკურ პირებთან ხელშეკრულება-ვალდებულებები (რომ გამარჯვების შემთხვევაში იმუშავენ პრეტენდენტთან), სადაც სასმელი წყლის აბონენტების ინდივიდუალური გამრიცხველიანება, წყალმზომების დაყენების ანალოგიური სამუშაოების არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილების შესახებ ინფორმაცია არ არის მითითებული.

4.1.2 გამოვლენილი გარემოება: პრეტენდენტმა თითოეულ ბინათმესაკუთრესთან უნდა შეათანხმოს სანტექნიკური მილებისა და ფიტინგების დამონტაჟების პროექტი, სამონტაჟო სამუშაოების წინასწარი დიზაინი, მესაკუთრეთა მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, თუმცა აუდიტის პერიოდში წარმოდგენილი ინფორმაციით, პრეტენდენტებს სატენდერო წინადადების აღნიშნული მოთხოვნები შესრულებული არა აქვთ.

4.1.3. გამოვლენილი გარემოება: მერიის მხრიდან ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებები იმისა, რომ შესყიდვაში გამარჯვებული პრეტენდენტი სახელშეკრულებო ურთიერთობის რიგ საკითხებში, როგორიცაა სამუშაოს შესრულების წესი, ანგარიშსწორების პირობები და გეგმა-გრაფიკი, რა აუცილებლობით და ვალდებულებით იყო დამოკიდებული, მერიის მიერ 2014 წელს, იგივე სამუშაოს შესრულებისათვის გამოცხადებული ტენდერის⁹ შედეგად დადებული ხელშეკრულების მეორე მხარეზე¹⁰.

დასკვნა

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სატენდერო წინადადებაში გათვალისწინებული პირობები და შესყიდვაში მონაწილე პირებთან არაერთგვაროვანი მიდგომა, პრეტენდენტთა შესაძლო შეზღუდვაზე და კონკრეტული პრეტენდენტის გამარჯვების შესაძლო უპირატესობაზე მიუთითებს.

⁹ SPA140016803

¹⁰ „ER-YA INSAAT TURIZM VE TICARET A.S.“

რეკომენდაცია

ქ. ბათუმის მერიას:

ქალაქ ბათუმის მერიის ხელმძღვანელობამ, პრეტენდენტების შერჩევისა და შეფასების პროცედურებთან დაკავშირებით, გააძლიეროს შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც ჯანსაღი კონკურენციის განვითარებისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის ერთ-ერთი პირობაა, რომელიც აღმოფხვრის პრეტენდენტებთან არაერთგვაროვანი მიდგომის და შესაძლო ხელოვნური შეზღუდვის რისკებს.

4.2 ქილინის არხის კაპიტალური რეკონსტრუქციის სამუშაოები

კრიტერიუმი: ქალაქ ბათუმის მერიასა და შპს „მშენებელი 80“-ს შორის 2015 წლის 30 მარტს გაფორმებულია N69 ხელშეკრულება, ქილინის არხის კაპიტალური რეკონსტრუქციის სამუშაოებთან დაკავშირებით. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 6 317 776 ლარს. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მიმწოდებელი ვალდებულია თითოეულ ეტაპზე, ანგარიშსწორებამდე, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენა ყველა შესრულებული სამუშაოს შესაბამისობაზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ პირობებთან.

გამოვლენილი გარემოება: ქალაქ ბათუმის მერიასა და შპს „მშენებელი 80“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, სამუშაოების დასრულების ვადა განსაზღვრულია 2016 წლის 25 დეკემბრამდე პერიოდი. აუდიტის პერიოდში, მიმწოდებლის მიერ 6 შემთხვევაში წარმოდგენილია ექსპერტიზის დასკვნები, რითაც დადასტურებულია 5 237 529 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულება¹¹. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ მიმწოდებლის მიერ დარღვეულია ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 8.1 მუხლის მოთხოვნები და ექსპერტიზის დასკვნები სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობაზე. აღნიშნულ პირობებში შემსყიდველის მიერ გადახდილია მიმწოდებელზე 4 975 651 ლარი.

დასკვნების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით

ცხრილი 4.2.1.

დასკვნის გაცემის დრო	დასკვნის N	ექსპერტიზაზე დასმული კითხვა	დასკვნის შედეგი
15/07/2015	5003500815	გთხოვთ დაადგინოთ შესრულებული სამუშაოების მოცულობა და რაოდენობა	შესრულებული სამუშაოების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტი N1-ის მიხედვით შეადგენს 662 042.2 ლარს, რაც შესაბამისაა ფაქტურად შესრულებული სამუშაოს მოცულობას და ღირებულებას

¹¹ აუდიტის პერიოდში გადახდილია მიმწოდებელზე 4 975 651 ლარი.

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის ანგარიში

10/8/2015	5004009815	გთხოვთ დაადგინოთ შესრულებული სამუშაოების მოცულობა და ღირებულება და შესაბამისობა საპროექტო დოკუმენტაციასთან	შესრულებული სამუშაოების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტი N2-ის მიხედვით შეადგენს 767 278.4 ლარს, რაც შეესაბამება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობას და ღირებულებას, ხოლო ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს წარმოება მიმდინარეობს წარმოდგენილი ნახაზების მიხედვით
8/9/2015	5004540515	გთხოვთ ჩაატაროთ ექსპერტიზა და დაადგინოთ შესრულებული სამუშაოების მოცულობა და ღირებულება შეესაბამება თუ არა შესრულებული სამუშაოს საპროექტო დოკუმენტაციას	შესრულებული სამუშაოების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტი N3-ის მიხედვით შეადგენს 701 074.29 ლარს, რაც შეესაბამება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობას და ღირებულებას, ხოლო ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს წარმოება მიმდინარეობს წარმოდგენილი ნახაზების მიხედვით
25/09/2015	5004900515	გთხოვთ დაადგინოთ შესრულებული სამუშაოების მოცულობა და რაოდენობა წარმოდგენილი N2 ფორმის მიხედვით და შესაბამისობა საპროექტო დოკუმენტაციასთან	შესრულებული სამუშაოების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტი N4-ის მიხედვით შეადგენს 697 280.35 ლარს, რაც შეესაბამება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობას და ღირებულებას, ხოლო ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს წარმოება მიმდინარეობს წარმოდგენილი ნახაზების მიხედვით
11/11/2015	5005821915	გთხოვთ დაადგინოთ შესრულებული სამუშაოების მოცულობა და ღირებულება და შესაბამისობა საპროექტო დოკუმენტაციასთან	შესრულებული სამუშაოების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტი N5-ის მიხედვით შეადგენს 1 644 702.76 ლარს რაც შეესაბამება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობას და ღირებულებას, ხოლო ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს წარმოება მიმდინარეობს წარმოდგენილი ნახაზების მიხედვით
16/12/2015	5006464515	გთხოვთ დაადგინოთ შესრულებული სამუშაოების მოცულობა და ღირებულება და შესაბამისობა საპროექტო დოკუმენტაციასთან	შესრულებული სამუშაოების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტი N6-ის მიხედვით შეადგენს 765 150,59 ლარს, რაც შეესაბამება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობას და ღირებულებას, ხოლო ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს წარმოება მიმდინარეობს წარმოდგენილი ნახაზების მიხედვით

ექსპერტიზის დასკვნებით ირკვევა, რომ „ექსპერტების მიერ აზომვები ჩატარებულია ხილულ სამუშაოებზე, ხოლო იმ სამუშაოებზე, რომლებიც განეკუთვნება ფარულ სამუშაოთა კატეგორიას და რომელთა გაზომვაც ექსპერტიზის ჩატარების პერიოდში შეუძლებელი იყო, გათვალისწინებული იქნა წარმოდგენილი ფარული სამუშაოს აქტებით, ხოლო იმ სამუშაოებზე რომლებზედაც არ არის წარმოდგენილი ფარულ სამუშაოთა აქტები, გათვალისწინებული იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად. წარმოდგენილ ფარულ სამუშაოთა აქტებში არ არის დაფიქსირებული სამუშაოს მოცულობები, ამიტომ მათი ჩათვლა დამკვეთის პრეროგატივაა“. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული ფარული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 5 149 180 ლარს, რაც მთლიანი შესრულებული სამუშაოს 98,3%-ია.

დასკვნა

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ვერ მივიღეთ სათანადო რწმუნება ფარული სამუშაოების ფატობრივად შესრულებაზე და ფარული სამუშაოების ღირებულების გადახდის კანონშესაბამისობაზე.

რეკომენდაცია

ქ. ბათუმის მერიას:

ქალაქ ბათუმის მერიის ხელმძღვანელობამ, ფარული სამუშაოების იდენტიფიცირებასთან და აზომვებთან დაკავშირებით, დანერგოს შესაბამისი შიდა

კონტროლის მექანიზმები და უზრუნველყოს, რომ მიმწოდებლებთან ანგარიშსწორება განხორციელდეს სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების პირობების სრული დაცვით.

4.3. სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების კანონის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვებისთვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა¹². სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფა. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საჯარო მოსამსახურემ უნდა დაიცვას ეკონომიურობის და ეფექტიანობის პრინციპი¹³. ტენდერის შემთხვევაში ხელშეკრულება იდება სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ხელშეკრულების პროექტის საფუძველზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებისა და ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების პირობების შესაბამისად¹⁴.

გამოვლენილი გარემოება: თვითმმართველი ქალაქის -ბათუმის მერიის მიერ, 2015 წლის 24 თებერვალს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, ქ. ბათუმში, აღმაშენებლისა და გენერალ აბაშიძის, აღმაშენებლისა და ტბელ აბუსერიძის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიის უბნის სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე¹⁵, რომლის სავარაუდო ღირებულება 2 882 797 ლარს შეადგენდა და ითვალისწინებდა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების გამოცდილების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენას. სატენდერო განცხადების ტექნიკური პირობების შესაბამისად, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონოდა ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის (სანიაღვრე და გარე კანალიზაციის სისტემის მშენებლობა, რეკონსტრუქცია, რემონტი) სამუშაოები, საერთო ღირებულებით არანაკლებ 2 000 000 ლარის ოდენობით. შესყიდვაში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა, რომელთაგან უმცირესი ფასი 2 278 172 ლარი შემოთავაზებული იქნა შპს „წყალკანალრემმშენის“ მიერ, მომდევნო პრეტენდენტების შპს „კაპიტელის“ სატენდერო წინადადების ღირებულება 2 306 238 ლარს, ხოლო შპს „არნაბი 21“-ის კი 2 621 600 ლარს შეადგენდა. ტექნიკური დოკუმენტაციის გამო, შპს „წყალკანალრემმშენი“ და შპს „კაპიტელი“ დისკვალიფიცირებული იქნა და სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით¹⁶ განხილული იქნა შპს „არნაბი 21“-ის სატენდერო

¹² საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 2

¹³ საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, მუხლი 73², მე-4 პუნქტი

¹⁴ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-19 მუხლის 1 პუნქტი.

¹⁵ SPA 150006216

¹⁶ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N31-5. 25.03.2015

წინადადება. შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული და აუდიტის მიმდინარეობისას მოპოვებული ინფორმაციის შესაბამისად, სატენდერო კომისიის მიერ შპს „არნაზი 21“-ის სატენდერო წინადადების განხილვისას, სათანადო გამოცდილებად ჩათვლილი იქნა პრეტენდენტის მიერ სხვადასხვა ხელშეკრულებებით განსაზღვრული, სანიაღვრე და გარე კანალიზაციის მშენებლობა - რეკონსტრუქციისა და რემონტის მსგავსი ცალკეული სამუშაოების ღირებულება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ხელშეკრულებების საგანს უშუალოდ სანიაღვრე და გარე კანალიზაციის მშენებლობა არ წარმოადგენდა¹⁷, თუმცა სატენდერო კომისიის მიერ ის მაინც მიჩნეულ იქნა ტენდერით მოთხოვნილ ანალოგიური სირთულის სამუშაოებად.

საკითხისადმი განსხვავებული მიდგომა ფიქსირდება შპს „წყალკანალრემშენის“ სატენდერო წინადადების განხილვისას, სადაც სატენდერო კომისიამ, სათანადო გამოცდილებაში არ ჩათვალა პრეტენდენტის მიერ წყალსადენებისა და წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაციისას, სანიაღვრე და გარე კანალიზაციის სისტემის მშენებლობა, რეკონსტრუქცია, რემონტის ანალოგიური სამუშაოები, რომელთა ღირებულებაც სრულად შეესაბამებოდა ტენდერით მოთხოვნილ მაჩვენებელს. მაგალითისთვის ქვემოთ მოყვანილია პრეტენდენტების მიერ კვალიფიკაციის დასადასტურებლად წარმოდგენილი სამუშაოები:

ცრილი 4.3.

დასახელება	შპს „არნაზი 21“	შპს „წყალკანალრემშენი“
ხელშეკრულების საგანი	ხრეთის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	წყალტუბოს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია
სამუშაოს საერთო სათაური	კერძო მისასვლელზე სადრენაჟო მილების მოწყობა	სამუშაოთა საერთო სათაური არ არის მითითებული
ცალკეული სამუშაოების დასახელება	გრუნტის ამოჭრა მილის მოსაწყობად	სანიაღვრე არხისთვის მიწის გაჭრა თხრილში ექსკავატორით ა/მ დატვირთვით და გატანა 5 კმ-ზე
	ლითონის მილის დ=500მმ, მოტანა და მონტაჟი, კედლის სისქით 7 მმ	დ=630 ფოლადის მილების შეძენა მონტაჟი
	ქვიშა-ხრემის საგების მოწყობა მილის ქვეშ	თხრილის შევსება ქვიშით მილის ზემოდან 20სმ და თხრილის ფსკერზე 10 სმ
	გრუნტის უკაჩაყრა და დატკეპნა	უკუჩაყრა ადგილობრივი გრუნტით დატკეპნით

შესაბამისად, სატენდერო კომისიის მიერ, საკითხისადმი არაერთგვაროვანი მიდგომის შედეგად, გამარჯვებულად დასახელდა შპს „არნაზი 21“, რომელთანაც 2015 წლის 6 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება 2 621 599 ლარზე, რაც 343 427 ლარით მეტია, უმცირესი ფასის შემომთავაზებელი პრეტენდენტის სატენდერო წინადადების ღირებულებაზე.

¹⁷ გარდა შპს „MMG“-თან, პუშკინის ქუჩაზე გარე კანალიზაციის ქსელის მოწყობის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებისა. ღირებულება - 46 527 ლარი.

დასკვნა

ქალაქ ბათუმის მერიის სატენდერო კომისიის მიერ, სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოებთან დაკავშირებით, შესყიდვაში მონაწილე პირებთან არაერთგვაროვანი მიდგომა, პრეტენდენტთა შესაძლო შეზღუდვაზე და კონკრეტული პრეტენდენტის გამარჯვების შესაძლო უპირატესობაზე მიუთითებს.

რეკომენდაცია

ქ. ბათუმის მერიას:

ქალაქ ბათუმის მერიის ხელმძღვანელობამ, პრეტენდენტების შერჩევისა და შეფასების პროცედურებთან დაკავშირებით, გააძლიეროს შიდა კონტროლის მექანიზმები რაც ჯანსაღი კონკურენციის განვითარებისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის ერთ-ერთი პირობაა, ამასთან, აღმოფხვრის პრეტენდენტებთან არაერთგვაროვანი მიდგომის და ხელოვნური შეზღუდვის შესაძლო რისკებს.

4.4. გამარტივებული შესყიდვა

კრიტერიუმი: საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას, ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ მე-3 პუნქტის მიხედვით, შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების ფარგლებში, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, კონკრეტული ხელშეკრულებისათვის/შესყიდვისათვის დადგენილი გამონაკლისების შემთხვევაში, როდესაც მიმწოდებელი გათავისუფლებულია ხარჯთაღრიცხვის წარდგენის ვალდებულებისაგან, შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით.

გამოვლენილი გარემოება: ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსის“ მიერ, სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 6 შემთხვევაში განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვა და გადახდილია მიმწოდებლებზე 1 002 532 ლარი. სამუშაოების ფაქტობრივი შესრულება დადასტურებულია მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტით და სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით¹⁸. აუდიტის პერიოდში, ექსპერტიზის ბიუროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით¹⁹ ირკვევა, რომ წარმოდგენილ დასკვნებში, ექსპერტებს არ უმსჯელიათ

¹⁸ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.

¹⁹ N5002828116-30/05/2016წ.

სხვა ხარჯებზე, სხვა მანქანებისა და შრომით დანახარჯებთან დაკავშირებულ საკითხებზე, ვინაიდან დამკვეთის მიერ არ ყოფილა წამოყენებული კითხვები საექსპერტო დაწესებულების წინაშე. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის, „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას, ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ მე-3 პუნქტით, შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების ფარგლებში, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით, თუმცა ბათუმის კორპუსის მიერ მიმწოდებლებთან ანგარიშსწორება განხორციელებულია შესრულებაში ნაჩვენებ სამუშაოებზე ფაქტობრივი ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენლობის პირობებში.

სამუშაოების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ცრილის სახით.

ცრილი 4.4.

№	შესრულებული სამუშაო	მიმწოდებელი	ხელშეკრულება			
			№	თარიღი	ღირებულება	გადახდილი თანხა
1		5	6	7	9	
1	საყრდენი კედლის მოწყობის და სახლის გამაგრების სამუშაოები იოანე ლაზის ქ.№13, თოდოგაურის დასახ. №97, მ. შარაშიძის ქ.№76, თევდორე მღვდლის ქ.№44, თოდოგაურის დასახ. №105, პორტუგის ქ.№27, თოდოგაურის დასახლება №80, თოდოგაურის დასახ. №48, მაჭახელას ქ.№62.	შპს „უნივერსალი“	52	3/16/2015	286931	286232.40
2	დამცავი კედლის მოწყობის და სახლის გამაგრების სამუშაოები ზაღის ქ.№4, პეტრ იბერის ქ.№71, იოანე ლაზის პირველი შეს. №19-20, ბათუმგორის პირველი ჩიხი №7, მუსხელიშვილის ქ.№54, მუსხელიშვილის ქ.№56, ბათუმგორის ქ.№41, თბილისი ქ.№63, ზედადელის დასახ. №80.	შპს „ხინო“	53	3/16/2015	289535	265444.46
3	დამცავი კედლის მოწყობის და სახლის გამაგრების სამუშაოები სათნოების ქ.№20, კონცელიძის ქ.№4, ანა კალანდაძის ქ.№41, დიდგორის ქ.№33,34,35, ანა კალანდაძის ქ.№71, ნაჭყებია ქ.№78, ანა კალანდაძის ქ.№70, მ. შარაშიძის ქ.№57, მ. ლეზანიძის ქ.№35.	შპს „ს.ე.ნ“	54	3/16/2015	299532	267087.44
4	დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სახურავის აღდგენა-შეკეთებითი სამუშაოები გრიშაშვილის ჩიხი №3, პუშკინის ქ.№35 და წერეთლის ქ.№6/1-ში მდებარე დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები.	შპს „უნივერსალი“	70	4/17/2015	25850	25849.30
5	თამარ მეფის გამზირი მე-5 შესახვევი №19-ში მდებარე ავარიული სახლის გამაგრება.	ი.მ. ჯემალ ირემაძე	190	11/11/2014	16208	16066.96
6	საყრდენი კედლის მოწყობის და სახლის გამაგრების სამუშაოები ანა კალანდაძის ქ.№102, ბათუმგორის ქ. N8, შარაშიძის ქ.№44, ყადირ შერვაშიძის ქ. N50, თოდოგაურის ქ. N29, ხულოს ქ. N8.	ი/მ ჯემალ ირემაძე	199	5/11/2015	196149	141851.00
	ჯამი				1 114 205	1 002 532

დასკვნა

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება 1 002 532 ლარი, გადახდილია ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულების გარეშე.

რეკომენდაცია

ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსს:

ანალოგიური დარღვევების შემდგომში დაუშვებლობის მიზნით, დაინერგოს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები და გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულების გადახდა განხორციელდეს ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო სახსრების კანონშესაბამისად განკარგვას.

4.5. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ხელშეწყობის პროგრამით გაწეული ხარჯები

4.5.1. კრიტერიუმი: ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსის“ წესდების მე-3 მუხლის „ე“ პუნქტის მიხედვით, ბათუმის კორპუსის ერთ-ერთი მიზანი და ფუნქციაა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ხელშეწყობისათვის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების გაწევა როგორც უშუალოდ, ისე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამშენებლო დარგში დაპროექტების, მშენებლობის, ექსპლუატაციის, ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ჩატარების ღონისძიებათა უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N1-1/251 ბრძანებით დამტკიცებულია საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში მოქმედი ნორმები.

გამოვლენილი გარემოება: ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსის“ მიერ, აუდიტის პერიოდში შეძენილია და ჩამოწერილია ხარჯებში 96 688 ლარის ღირებულების სამშენებლო მასალები²⁰. მასალების ხარჯვა განხორციელებულია ბათუმის კორპუსის სამტატო განრიგით რიცხული ტექნიკური პერსონალის მეშვეობით, დეფექტური აქტისა და შესრულებული სამუშაოს აქტების საფუძველზე. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ დეფექტურ აქტებში არ არის იდენტიფიცირებული შესასრულებელი სარემონტო სამუშაოს მოცულობა, ხშირ შემთხვევებში არ არის მითითებული სამუშაოს სახეობა და მითითებულია მხოლოდ მასალები²¹, რიგ შემთხვევაში შესრულებული

²⁰ მილკვადრატი, საღებავი, მავთული, გლინულა, სილიკონი, დუპელი, ლურსმანი, მეტალის მილი, მავთულბადე და სხვა.

²¹ ვაჟა ფშაველას ქ.N53-10/12/2015წ; ადმინისტრაციის ქ.N3-24/12/2015წ; რურუას ქ.N1-30/09/2015წ; ჯავახიშვილის ქ.N78²-18/09/2015წ და სხვა.

სამუშაოს აქტებით ჩამოწერილია მეტი რაოდენობის მასალები, ვიდრე დეფექტურ აქტშია მითითებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მასალების ფაქტობრივად ხარჯვის/ჩამოწერის შესაბამისობა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N1-1/251 ბრძანებით განსაზღვრული სამშენებლო სფეროში მოქმედ ნორმებთან, წარმოდგენილი დოკუმენტებით იდენტიფიცირებული არ არის.

დასკვნა

საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების დარღვევით ჩამოწერილია 96 688 ლარის ღირებულების სამშენებლო მასალები.

რეკომენდაცია

ქ. ბათუმის მერიას:

ანალოგიური დარღვევების შემდგომში დაუშვებლობის მიზნით, ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსის“ ხელმძღვანელობამ გააძლიეროს შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც შეამცირებს მოქმედი ნორმებისა და წესების დარღვევით სამშენებლო მასალების ხარჯვის რისკს.

4.5.2. კრიტერიუმი: ქ. ბათუმში, ყადირ შერვაშიძის აღმართის N114-ში მცხოვრები მ. ფარტენაძის საცხოვრებელი სახლისა და მიმდებარე საყრდენი კედლის გამაგრებითი სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით სატენდერო წინადადება (SPA 140027743) და უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტთან, შპს „კომპანიონთან“ 2015 წლის 22 იანვარს გაუფორმებული N10 ხელშეკრულება ითვალისწინებს სამუშაოების დასრულებას 2015 წლის 22 აპრილს. მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-9 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტების მიხედვით, სამუშაოების წარმოება უნდა განხორციელდეს კალენდარული გეგმა-გრაფიკის მიხედვით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,5%.

გამოვლენილი გარემოება: ხელშეკრულების მიხედვით შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება შეადგენს 53 669,98 ლარს. სამუშაოების დასრულების ვადის დღეს, 22 აპრილს, მხარეებს შორის გაფორმებულია N2 შეთანხმება და სამუშაოს დასრულების ვადა განისაზღვრა 2015 წლის 10 მაისის ჩათვლით, რომელიც მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით ფაქტობრივად დასრულებულია 2015 წლის 11 მაისს. მხარეებს შორის 2015 წლის 22 აპრილს N2 შეთანხმებით გაფორმებული ვადის გაგრძელება საფუძველს მოკლებულია, რადგან შეთანხმების საფუძველად მითითებული საძირკველის გამაგრებითი სამუშაოები, გეგმა-გრაფიკით უნდა დასრულებულიყო 2015 წლის 22 მარტს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიმწოდებლის მიერ ნაჩვენებია

შესრულებაში, მაგრამ ფაქტობრივად არ არის შესრულებული 6 204,6 ლარის ღირებულების სამუშაოები²². ზემოთ აღნიშნული გარემოებების არსებობის პირობებში, შემსყიდველის მიერ არ არის განხორციელებული მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრება.²³

დასკვნა

მიმწოდებლის მიერ არ არის შესრულებული 6 204,6 ლარის ღირებულების სამუშაოები, ხოლო შემსყიდველის მიერ არ არის გამოყენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება პირგასამტეხლოს დაკისრებასთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია

ქ. ბათუმის მერიას:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობამ, როგორც კონტროლის²⁴ განმახორციელებელმა, გაატაროს ქმედითი ღონისძიებები, რომ მის კონტროლის ქვეშ მყოფმა იურიდიულმა პირებმა, გონივრულ ვადაში უზრუნველყონ მიზნობრივი პროგრამის შესრულების რისკების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა.

4.5.3. კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მიზანია სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა. ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსის“ მიერ გამოცხადებული სახელმწიფო შესყიდვის (SPA150023384) მიხედვით, ქ. ბათუმში, რუსთაველის ქ. N61-ში (II და III სადარბაზო), ყაზბეგის ქ. N11-ში (სამგზავრო), ს.ხიმშიაშვილის ქ. N37-ში (სატვირთო) და ზ. გორგილაძის ქ. N54/62-ში (II სადარბაზო) მდებარე საცხოვრებელი სახლის ლიფტის კაპიტალური შეკეთებისათვის მიმწოდებელს უნდა შეესრულებინა 48 690 ლარის ღირებულების სამუშაოები. მხარეებს შორის გაფორმებული N170 ხელშეკრულების მიხედვით, ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს²⁵ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.

გამოვლენილი გარემოება: შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 48 690 ლარს, შესყიდვაში მონაწილეობდა ერთი პრეტენდენტი.²⁶ სამუშაოს დასრულების ვადაა 2015 წლის 22 ნოემბერი. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილია სამუშაოს დასრულების დოკუმენტები 5 ნოემბერს და 20 ნოემბერს, ხოლო მთლიანი²⁷ ღირებულება გადახდილია 2015 წლის 11 დეკემბერს. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ

²² სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა. არსებულ საყრდენ კედლებზე ბურჯებისა და საყრდენი კოჭების მოწყობა, საყრდენი კედლების შეღებვა, ჭერისა და კედლის არსებული ბათქაშის ჩამოყრა, ჭერისა და კედლის ადგილ-ადგილ აღდგენა, აღდგენილი კედლების შეღებვა.

²³ ვადაგადაცილება 22 აპრილიდან 11 მაისამდე 19 დღე. $53\ 669,9 \times 0,5\% \times 19 = 5\ 098,6$ ლარი.

²⁴ ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსის“ წესდების მე-11 მუხლი.

²⁵ მე-7 მუხლის „ბ“ პუნქტი.

²⁶ შპს „ტექ-სერვისი“.

²⁷ მთლიანი შესრულებული სამუშაოს 3% იხდის ამხანაგობა, ხოლო 11/12/2015 წელს გადახდილია შემსყიდველის მიერ 97% 47 229 ლარი.

ზ. გორგილაძის ქ.N54/62-ში (II სადარბაზო) მდებარე საცხოვრებელი სახლის ლიფტის კაპიტალური შეკეთების სამუშაოებთან დაკავშირებით, სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტზე, სადარბაზოს ბინათმესაკუთრები (8 პირი) ადასტურებენ, რომ შესრულებაში ნაჩვენები 6 690 ლარის სამუშაოები სრულყოფილად არ არის შესრულებული²⁸.

დასკვნა

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შეუსრულებლობის პირობებში გადახდილია მიმწოდებელზე 6 690 ლარი.

რეკომენდაცია

ქ. ბათუმის მერიას:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობამ, როგორც კონტროლის განმახორციელებელმა, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, რომ მის კონტროლის ქვეშ მყოფი იურიდიული პირების მიერ სრულყოფილად შესრულდეს „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების“ ხელშეწყობის პროგრამის მიზნები და შესაბამისად მიზანშედეგობრივად განკარგონ საბიუჯეტო სახსრები.

5.შემაჯამებელი დასკვნა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის პროგრამის-„კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება“, შესაბამისობის აუდიტის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები.

5.1.სახელმწიფო შესყიდვების პროცესში:

✓ სასმელი წყლის აბონენტების ინდივიდუალური გამრიცხველიანების, წყალმომცემების დაყენების სამუშაოების შესყიდვის სატენდერო წინადადებაში გათვალისწინებული პირობები, შესყიდვაში მონაწილე პირებთან არაერთგვაროვანი მიდგომითაა განხილული და შეფასებული.

✓ სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას, სატენდერო კომისიის მიერ, საკითხისადმი არაერთგვაროვანი მიდგომის შედეგად გამარჯვებულად დასახელდა პრეტენდენტი, რომლის წარმოდგენილი ფასი 343 427 ლარით მეტია უმცირესი ფასის მქონე დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ფასზე.

5.2. პროგრამის შესრულების პროცესში:

✓ ჟილინის არხის კაპიტალური რეკონსტრუქციის სამუშაოებთან დაკავშირებით, შესრულებული სამუშაოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო

²⁸ „გამომახების კნოპი მიმართულების და სართულის მაჩვენებლებით“

დოკუმენტაციით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობაზე, ექსპერტიზის დასკვნების სრულყოფილად წარმოდგენის გარეშე გადახდილი 4 975 651 ლარი.

✓ ჟილინის არხის კაპიტალური რეკონსტრუქციის სამუშაოებთან დაკავშირებით ვერ მივიღეთ სათანადო რწმუნება ფარული სამუშაოების ფაქტობრივად შესრულებაზე და საბიუჯეტო სახსრების მიზანშედეგობრივად ხარჯვის მდგომარეობაზე“.

✓ ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსის“ მიერ, ფაქტობრივი ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულებების გარეშე, გადახდილია მიმწოდებელზე 1 002 532 ლარი.

✓ ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსის“ მიერ, 96 688 ლარის ღირებულების სამშენებლო მასალების ჩამოწრა განხორციელდა სამშენებლო სფეროში მოქმედ ნორმებთან შეუსაბამოდ.

5.3. მონიტორინგის და ხელშეკრულების პირობების შესრულების პროცესში:

✓ ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსის“ მიერ არ არის გამოყენებული მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილება, პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ.

✓ საცხოვრებელი სახლის ლიფტის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების სრულყოფილად შეუსრულებლობის პირობებში, გადახდილია მიმწოდებელზე 6 690 ლარი.

6. რეკომენდაცია

✓ ქალაქ ბათუმის მერიის ხელმძღვანელობამ, პრეტენდენტების შერჩევისა და შეფასების პროცედურებთან დაკავშირებით, გააძლიეროს შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც ჯანსაღი კონკურენციის განვითარებისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის ერთ-ერთი პირობაა, ამასთან, აღმოფხვრის პრეტენდენტებთან არაერთგვაროვანი მიდგომის და ხელოვნური შეზღუდვის შესაძლო რისკებს.

✓ ქალაქ ბათუმის მერიის ხელმძღვანელობამ, ფარული სამუშაოების იდენტიფიცირებასთან და აზომვებთან დაკავშირებით, დაანერგოს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები და უზრუნველყოს, რომ მიმწოდებლებთან ანგარიშსწორება განხორციელდეს სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების პირობების სრული დაცვით.

✓ ანალოგიური დარღვევების შემდგომში დაუშვებლობის მიზნით, დაინერგოს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები და გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულების გადახდა განხორციელდეს ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო სახსრების კანონშესაბამისად განკარგვას.

✓ ანალოგიური დარღვევების შემდგომში დაუშვებლობის მიზნით, ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსის“ ხელმძღვანელობამ გააძლიეროს შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც შეამცირებს მოქმედი ნორმებისა და წესების დარღვევით სამშენებლო მასალების ხარჯვის რისკს.

✓ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობამ, როგორც კონტროლის განმახორციელებელმა, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, რომ მის კონტროლის ქვეშ მყოფი იურიდიული პირების მიერ სრულყოფილად შესრულდეს „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების“ ხელშეწყობის პროგრამის მიზნები და შესაბამისად მიზანშედეგოვნად განკარგონ საბიუჯეტო სახსრები.

7. აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი


საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრები:

აუდიტის ჯგუფის ხელმძღვანელი:

ნადიმ ბოლქვაძე

/წამყვანი აუდიტორი/




გოჩა შარაბიძე

/წამყვანი აუდიტორი/



ჰენრი სანიკიძე

/უფროსი აუდიტორი/



ირაკლი ანანიძე

/უფროსი აუდიტორი/



უჩა პაპუკაშვილი

/აუდიტორ-ასისტენტი/



29/09/2016წ.